# საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა

და

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს შორის

## ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები მანქანის მიწოდების ქვეპროექტის განხორციელების შესახებ

2015 წელი

Created with
nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

## საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება

წინამდებარე საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**) გაფორმდა 2015 წლის 14 აპრილს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა (შემდგომში **„ფონდი“**), შექმნილი 1997 წლის 7 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №294 ბრძანებულების საფუძველზე შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით და თვითმმართველ თემს ყაზბეგის მუნიციპალიტეტს (შემდგომში - **„მუნიციპალიტეტი“**) შორის, რომლებიც ამიერიდან ერთობლივად იწოდებიან **„მხარეებად“**, ხოლო თითოეული მათგანი **„მხარედ“**.

### პრეამბულა

იმის გათვალისწინებით, რომ

(ა) საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი მსოფლიო ბანკისგან 2014 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში (შემდგომში **„სასესხო ხელშეკრულება“**) რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (შემდგომში **„პროექტი“**) მიზნებისათვის;

(ბ) ფონდი, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, უზრუნველყოფს ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები მანქანის მიწოდებას მუნიციპალური მომსახურების განვითარების მიზნით (**„ქვეპროექტი“**), რომელიც დაფინანსდება გრანტის საფუძველზე სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმ პირობებისა და დებულებების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია მსოფლიო ბანკსა და ფონდს შორის იმავე თარიღით გაფორმებულ საპროექტო ხელშეკრულებაში (შემდგომში **„საპროექტო ხელშეკრულება“**) და ფონდის სამოქმედო სახელმძღვანელოში;

(გ) საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში მისი ვალდებულებების შესრულების მიზნით ფონდს (და მის შესაბამის წარმომადგენლებს, აგენტებს, კონსულტანტებსა და კონტრაქტორებს) სჭირდება ქვეპროექტის გარკვეული აქტივებით სარგებლობა, რისთვისაც მუნიციპალიტეტი მზად არის მიანიჭოს მას ამგვარი უფლება;

(დ) ფონდი და მუნიციპალიტეტი აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ქვეპროექტის განხორციელების პროცესში მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით.

**შედეგად,** ზემოთ მოყვანილისა და წინამდებარე ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ურთიერთვალდებულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

I მუხლი

## ქვეპროექტის აღწერა

1.1 ქვეპროექტის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები მანქანის მიწოდება;

1.2 ქვეპროექტის საბაზისო ღირებულება შეადგენს 295,000 (ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს;

1.3 დაფინანსების პირობები: ფონდი გრანტის სახით დააფინანსებს ქვეპროექტის საბაზისო ღირებულების 85%-ს, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 15%-ს. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ზემოთ აღნიშნული პროპორციით დააფინანსონ ქვეპროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დამატებითი ხარჯები;

1.4 გადასაცემი ქონების მოცულობა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დეტალური აღწერილობა შეთანხმებულია მუნიციპალიტეტთან;

1.5 ქვეპროექტის განხორციელების საორიენტაციო პერიოდია ოთხი თვე (კონტრაქტის გაფორმებიდან);

1.6 შემოთავაზებული ქვეპროექტი წარმოადგენს პრიორიტეტს მუნიციპალიტეტის წერილობითი ოფიციალური თხოვნისა და აუცილებლობის კონტექსტში;

1.7 ქვეპროექტის დასრულების შემდეგად, ქონება საკუთრებაში გადაეცემა მუნიციპალიტეტს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიღებასა და ბალანსზე აყვანას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

II მუხლი

## მუნიციპალიტეტის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

2.1 მუნიციპალიტეტმა უნდა მიანიჭოს ფონდს და მის წარმომადგენლებს შესაბამისი საქონლისა და მასთან დაკავშირებული ჩანაწერებისა თუ სხვა დოკუმენტაციის შემოწმების უფლება;

2.2 მუნიციპალიტეტმა უნდა ითანამშრომლოს ფონდთან იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ქვეპროექტის განხორციელების ხელშესაწყობად;

2.3 მუნიციპალიტეტმა, ფონდთან ერთად უნდა დაადასტუროს ქვეპროექტის ფარგლებში შერჩეული კონტრაქტორის (შემდგომში „კონტრაქტორი") მიერ წარმოდგენილი გადასაცემი ქონების მოცულობები;

2.4 მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ქვეპროექტის ფარგლებში ფონდის მიერ გადაცემული ქონების მიღებაზე, ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე.



Created with nitro PDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

მუნიციპალიტეტმა სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით უნდა მართოს ქვეპროექტის შედეგად მიღებული აქტივები მდგრადი ადმინისტრაციული, ფინანსური, ბიზნეს და გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესაბამისად სათანადო ანგარიშებისა და დოკუმენტაციის წარმოების ჩათვლით;

2.5 მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ყველა იმ ნებართვისა ან/და ლიცენზიის მოპოვებაზე, რომელიც აუცილებელია ქვეპროექტის განსახორციელებლად;

2.6 მუნიციპალიტეტმა უნდა დააფინანსოს (გაიღოს სახსრები) საკუთარი რესურსებიდან ქვეპროექტის ღირებულების მინიმუმ 15%. ფონდის შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა მოთხოვნილი თანხა ლარებში უნდა გადარიცხოს ფონდის სპეციალურ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 302007800
მიმღები: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ს/კოდი: 206 074 193
საგადასახადო დავალების დამატებითი ინფორმაციის
გრაფაში მიუთითეთ: „სადეპოზიტო ქვეკოდი 7806"

III მუხლი

## ფონდის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

3.1 ქვეპროექტის განხორციელებისათვის ფონდი აფინანსებს ქვეპროექტის ღირებულების 85%-ს დონორების დაფინანსების გამოყენებით;

3.2 ფონდმა ქვეპროექტის ფარგლებში საჭირო ყველა შესყიდვის პროცედურა უნდა ჩაატაროს შესყიდვების გეგმის შესაბამისად;

3.3 ფონდმა უნდა განახორციელოს ქონების გადაცემის შემდგომ მასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა ტექნიკური ზედამხედველობა;

3.4 ფონდს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, ქვეპროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიტანოს ცვლილება მასში, თუ ამგვარი ცვლილება ტექნიკურად აუცილებელია და დასაბუთებულია;

3.5 ფონდი მიაწოდებს მუნიციპალიტეტს კონტრაქტორებთან ხელმოწერილი მიწოდების/მომსახურების კონტრაქტების ასლებს.

IV მუხლი

## საქონლისა და მომსახურების მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1 მიწოდების/მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორის მიერ შესაბამისი ქონების მიწოდების ან/და მომსახურების განხორციელების შემდეგ მათი მიღება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ფონდისა და შესაბამისი



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

კონტრაქტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. შემოწმება კონტრაქტის შესრულება და თუ მიჩნეული იქნება, რომ ის დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება მიწოდების/მომსახურების შესაბამისი კონტრაქტის მოთხოვნებს, მაშინ (ა) ფონდი, მუნიციპალიტეტი და შესაბამისი კონტრაქტორი გააფორმებენ კონტრაქტორის მიერ მოწოდებული ქონების ან/და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს (**„მიღება-ჩაბარების აქტი“**) და (ბ) ფონდი უზრუნველყოფს კონტრაქტორთან ანგარიშსწორებას მიწოდების/მომსახურების კონტრაქტის თანახმად;

4.2 მუნიციპალიტეტმა და ფონდმა უნდა ითანამშრომლონ (ა) საქონლის/მომსახურების მიღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად მიწოდების/მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში; (ბ) მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად; (გ) ყველა სხვა ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელია ქვეპროექტის შესასრულებლად და ქვეპროექტის აქტივების გადასაცემად. ქვეპროექტის აქტივების გადაცემასა და ქვეპროექტის ამოქმედებასთან ერთად, მუნიციპალიტეტი წინამდებარე დოკუმენტით აცხადებს თანხმობას დაიცვას სათანადო საერთაშორისო ეკოლოგიური პრაქტიკის მოთხოვნები და უზრუნველყოს ქვეპროექტის ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი წესებისა და სტანდარტების, ასევე მოცემული თარიღისათვის არსებული მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად.

V მუხლი

## ცვლილებები, დამატებები და შეტყობინება

5.1 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და ისინი წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

5.2 ხელშეკრულების იმ ცვლილებებსა და დამატებებს, რომლებიც არ განხორციელდა წინამდებარე მუხლში მოცემული წესების შესაბამისად, არა აქვთ იურიდიული ძალა;

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა მათი **ხელმოწერის** თარიღიდან ან მათში განსაზღვრული ნებისმიერი სხვა თარიღიდან.

VI მუხლი

## ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედების ვადა, შეჩერება

6.1 ძალაში შესვლა. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი იურიდიული გაფორმების – ხელმოწერის დღიდან („ძალაში შესვლის თარიღი“);



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

6.2 <u>მოქმედების ვადა</u>. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მომსახურების/მიწოდების კონტრაქტის საფუძველზე არსებულ კონტრაქტორის ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე („მოქმედების ვადა“);

6.3 <u>შეჩერება</u>. მხარეები თანხმდებიან, რომ ფონდს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ქვეპროექტით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების პროცესი მუნიციპალიტეტისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც ფონდი შეაჩერებს ყველა საქმიანობას ქვეპროექტის ფარგლებში. შეჩერება ძალაში იქნება, სანამ ფონდი წერილობითი სახით არ გააუქმებს მას.

VII მუხლი

## უთანხმოებათა გადაჭრა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაჭრილი უნდა იქნეს მხარეების მიერ მოლაპარაკების საფუძველზე;

7.2 თუ 30 დღის განმავლობაში ამგვარი მოლაპარაკებების შედეგად არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

VIII მუხლი

## სხვა დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ერთი მხარის მიერ მეორისადმი მოთხოვნილი, ნებადართული ან წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება, სერთიფიკატი, მოთხოვნა, ანგარიში, თანხმობა, დოკუმენტი ან სხვა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ა) წერილობით, ბ) ქართულ ენაზე, გ) ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომელსაც დაადგენენ მხარეები ერთმანეთისადმი შეტყობინების საფუძველზე:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
დაბა სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქ. №1
ტელ: 595 902546
მუნიციპალიტეტის გამგებელი: გიგი ქორიკაშვილი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დავით აღმაშენებლის გამზირი №150, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: (995 32) 2437001; 2437002; 2437003; 2437004
ფაქსი: (995 32) 2437077
აღმასრულებელი დირექტორი: ილია დარჩიაშვილი

8.2 როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის ან რაიმე ქმედების განხორციელების თარიღი ემთხვევა



Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional

არასამუშაო დღეს, აღნიშნული ვადა უნდა გახანგრძლივდეს შემდეგ სამუშაო დღემდე;

8.3 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად;

8.4 წინამდებარე ხელშეკრულება არ აფუძნებს ერთობლივ საწარმოს, არ ქმნის პარტნიორულ ან სხვა მსგავს ურთიერთობას მხარეებს შორის;

8.5 თავებისა და მუხლების სათაურები მხოლოდ მოხერხებულობისათვის არის შეტანილი და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულების განმარტების ან ინტერპრეტირების დროს;

8.6 წინამდებარე ხელშეკრულება მომზადდა და გაფორმდა ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარეებთან. თუ თავს იჩენს რაიმე გაურკვევლობა ან შეუსაბამობა ხელშეკრულების ქართულ ოფიციალურ ვერსიასა და ნებისმიერ სხვა ენაზე შესრულებულ მის თარგმანს შორის, უპირატესობა ენიჭება ქართულ ოფიციალურ ვერსიას.

ზემოთქმულის დასადასტურებლად, მხარეები თავიანთი სახელით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ აღნიშნულ წელსა და რიცხვში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სახელით

მუნიციპალიტეტის გამგებელი ...ივი ქირიკაშვილი

GEORGIA, MUNICIPALITY OF KAZBEGI 241499473

29.04.2015

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სახელით

აღმასრულებელი დირექტორი ილია დარჩიაშვილი

7

Created with nitroPDF professional
download the free trial online at nitropdf.com/professional